



ევროკავშირი
საქართველოსთვის



CSRDG

საქართველოს სტრატეგიული
აქტივობისა და გარემოსდაცვითი ცენტრი

ენერგოეფექტურობასთან
დაკავშირებული საქართველოს
კანონმდებლობა, საერთაშორისო
ვალდებულებები და მათი
აღსრულების შეფასება ცაგერისა და
ლენტეხის მუნიციპალიტეტებში

ა(ა)იპ „მწვანე რეგიონები“

2024

ენერგოეფექტურობა ცაგერსა და ლენტეხში
საქართველოს ევროპასთან
ასოცირების შეთანხმების ფონზე

2024

პუბლიკაცია შექმნილია საქართველოს სტრატეგიული კვლევებისა და განვითარების ცენტრის (CSRDG) მხარდაჭერით, ევროკავშირისა და კონრად ადენაუერის ფონდის მიერ დაფინანსებული პროექტის *“სამოქალაქო საზოგადოების ინიციატივა: მდგრადი, ღია და ანგარიშვალდებული სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციები საქართველოს განვითარებისთვის”* ფარგლებში. მის შინაარსზე სრულად პასუხისმგებელია ა(ა)იპ „მწვანე რეგიონები“ და შესაძლოა, რომ იგი არ გამოხატავდეს ევროკავშირისა და კონრად ადენაუერის ფონდის შეხედულებებს.

პროექტს ახორციელებს კონსორციუმი კონრად ადენაუერის ფონდის (KAS) ხელმძღვანელობით შემდეგ არასამთავრობო ორგანიზაციებთან ერთად - საქართველოს სტრატეგიული კვლევებისა და განვითარების ცენტრი (CSRDG), სამოქალაქო საზოგადოების ინსტიტუტი (CSI), კონსულტაციის და ტრენინგის ცენტრი (CTC), განათლების განვითარების და დასაქმების ცენტრი (EDEC) და ევროპული პოლიტიკის ინსტიტუტი (IEP).



სარჩევი

შესავალი.....	4
ენერგოეფექტურობის არსი.....	5
ევროკავშირთან საქართველოს ასოცირების შეთანხმება და ენერგოეფექტურობა.....	5
ენერგოეფექტურობა და საქართველოს კანონმდებლობა	7
ენერგოეფექტურობის პოლიტიკის დოკუმენტები	15
ენერგოეფექტურობა, ადგილობრივი თვითმართველობა და სამოქალაქო საზოგადოება	17
სამიზნე მუნიციპალიტეტებში ენერგოეფექტურობასთან დაკავშირებული კანონმდებლობის აღსრულების შეფასება	20
დასკვნები და რეკომენდაციები	24
დანართი: სამიზნე მუნიციპალიტეტებიდან მიღებული წერილები ენერგოეფექტურობასთან დაკავშირებული კანონმდებლობის აღსრულების თაობაზე.....	27

შესავალი

დედამიწის შეზღუდული ენერგეტიკული რესურსებისა და კლიმატის ცვლილების უარყოფითი გავლენების პირობებში, ენერგოეფექტურობის საკითხი მსოფლიო განვითარების დღის წესრიგში უმნიშვნელოვანეს ადგილს იკავებს. ამასთან დაკავშირებით არსებობს მრავალი საერთაშორისო შეთანხმება, რომელთაც საქართველოცაა მიერთებული.

საქართველოს ენერგოდამოუკიდებლობა ქვეყნის უსაფრთხოების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ნაწილია და ის ამჟამად მნიშვნელოვანი გამოწვევების წინაშეა. ყოველწლიურად იზრდება მოთხოვნილება და მცირდება საკუთარი რესურსებით უზრუნველყოფის მაჩვენებლები. საკმარისია ითქვას, რომ ენერჯის საბოლოო მოხმარება 2000 წლიდან დღემდე 90%-ით გაიზარდა (და ტენდენცია მზარდია), მოხმარებული ნავთობპროდუქტების თითქმის 100% იმპორტით კმაყოფილდება. ამ ფონზე, საქართველოს ეკონომიკაში არ მცირდება ენერგოტევადობის წილიც, ვერ ხერხდება ეკონომიკურ და სოციალურ განვითარებასა და ენერჯიაზე მოთხოვნას შორის არსებული კავშირის გაწყვეტა. ამ პრობლემის გადაჭრის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს გზად მიჩნეულია ენერგოეფექტურობის დონის ამაღლება, თუმცა საკითხისადმი ხელისუფლების წარმომადგენლებისა და მოსახლეობის ზოგადი გაუთვისებლობის გამო ამ მიდგომას სათანადო ყურადღება არ ექცევა.

წინამდებარე პუბლიკაცია/ ანგარიშის მიზანია ენერგოეფექტურობასთან დაკავშირებული საქართველოს კანონმდებლობისა და საერთაშორისო ხელშეკრულებების ანალიზი და აღნიშნული კანონმდებლობის განხორციელებული და შეუსრულებელი მოთხოვნების იდენტიფიკაცია ორ სამიზნე მუნიციპალიტეტში - ცაგერსა და ლენტეხში. ანგარიშში მოცემულია აგრეთვე შესაბამისი რეკომენდაციები.

ანგარიში მომზადებულია ორგანიზაცია ა(ა)იპ „მწვანე რეგიონების“ პროექტის „ენერგოეფექტურობა ცაგერსა და ლენტეხში საქართველოს ევროპასთან ასოცირების შეთანხმების ფონზე“ ფარგლებში. პროექტი განხორციელდა 10.02.24 - 10.09.2024 პერიოდში ორ მუნიციპალიტეტში - ცაგერი და ლენტეხი. პროექტის მიზანი იყო: სამოქალაქო მონიტორინგისა და ადვოკატირების გზით ხელი შეუწყოს საქართველოს ევროკავშირთან ასოცირების პროცესის, ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცის შესახებ შეთანხმებისთან (შემდგომში: ასოცირების შეთანხმება) დაკავშირებული რეფორმების, მათ შორის საქართველოს საკანონმდებლო ბაზის მოთხოვნათა განხორციელებას ენერგოეფექტურობის მიმართულებით ზემოაღნიშნულ მუნიციპალიტეტებში.

მეთოდოლოგიურად ანგარიში ეფუძნება შემდეგს:

- ა) სამაგიდო კვლევები: ენერგოეფექტურობის თემაზე საქართველოს კანონმდებლობის, საერთაშორისო (მათ შორის ასოცირების ხელშეკრულებით გათვალისწინებული) ვალდებულებების და სამიზნე მუნიციპალიტეტების ფუნქციონირების დოკუმენტების ანალიზი;
- ბ) გასვლითი სამუშაო: სამიზნე მუნიციპალიტეტებში ენერგოეფექტურობასთან დაკავშირებული ზოგადი ინფორმაციის მიღება გაგზავნილი მოთხოვნის საფუძველზე და პირისპირ შეხვედრები მუნიციპალიტეტის პასუხისმგებელ პირებთან;
- გ) ორგანიზაციის მიერ მომზადებული, ენერგოეფექტურობის კანონმდებლობის შესახებ ქცევის, ცოდნისა და შეხედულებების თვისობრივი კვლევა.

ენერგოეფექტურობის არსი

ზოგადი განმარტებით, ენერგოეფექტურობა არის ნაკლები ენერგიის გამოყენება ერთი და იგივე მომსახურების შესასრულებლად ან იგივე პროდუქტის საწარმოებლად.

ენერგიის უფრო ეფექტურად გამოყენება არის ფინანსური სახსრების დაზოგვის, სათბურის გაზების გამოყოფის შემცირების და დამატებითი სამუშაო ადგილების შექმნის ერთ-ერთი ყველაზე სწრაფი და ეფექტური გზა.

ენერგოეფექტურობა არ ნიშნავს ენერგიის გამოყენებაზე შეზღუდვის დაწესებას, ენერგოეფექტურობა გულისხმობს ენერგიის გონივრულად გამოყენებას და მისი დანაკარგების შემცირებას. მოსახლეობის ყოველდღიური ქცევის შეცვლა, განსაკუთრებით ცნობიერების ამაღლების კამპანიის მნიშვნელოვან ნაწილს უნდა შეადგენდეს. მარტივი და დაბალხარჯიანი ქმედებებით შეიძლება მნიშვნელოვან შედეგებს მივაღწიოთ. უნდა ვიცოდეთ, რომ:

- ძველი ნათურების შეცვლა LED ნათურებით ელექტროენერგიის ხარჯს დაახლოებით 75%-ით ამცირებს და ეს ნათურები ათჯერ უფრო დიდხანს მუშაობს;
- ძველი წყლის გამათბობლის შეცვლა ახალი ენერგოეფექტიანი მოწყობილობით შეამცირებს ენერგიის მოხმარებას საშუალოდ 20%-ით. მიღებული დანაზოგი აანაზღაურებს ახალი მოწყობილობის ხარჯს;
- ფანჯრებისა და კარების არსებული ნაპრალების ამოვსება ყოველწლიურად დაზოგავს სახლის გათბობისა და გაგრილების ხარჯის დაახლოებით 10%-ს;
- სითბოს დაახლოებით 55% იკარგება შენობის სახურავიდან და კედლებიდან.¹

ასოცირების შეთანხმება და საქართველოს პოლიტიკური განაცხადი ევროკავშირის წევრობაზე კარგ პერსპექტივებს იძლევა ენერგოეფექტურობის ევროპული გამოცდილების გაზიარებისთვის. ათწლეულზე მეტია, ენერგოეფექტურობის გასაუმჯობესებლად ევროკავშირმა მთელი რიგი ღონისძიებები გაატარა. მათ შორის, მიზნად დაისახა ენერგიის წლიური შესყიდვების შემცირება, საჯარო შენობების თერმორეაბილიტაცია, სავალდებულო ენერგოეფექტურობის სერტიფიკატების შემოღება, როგორც წინაპირობა შენობების გასაყიდად ან გასაქირავებლად, პროდუქციის ეტიკეტირება ენერგოეფექტურობის მინიმუმებით, მსხვილი კომპანიების სავალდებულო ენერგოაუდიტი და სხვა. ეს მიზნები წარმატებით განხორციელდა და დღესდღეობით, ევროკავშირში ახალი შენობები მოიხმარენ იმ ენერგიის ნახევარს, რასაც 1980-იან წლებში მოიხმარდნენ.

ევროკავშირი საქართველოში ენერგოეფექტურობის ღონისძიებების გატარების მიმართულებით რამდენიმე წელია აქტიურად არის ჩართული: ქვეყანას ეხმარება საკანონმდებლო ბაზის ევროკავშირის რეგულაციებთან დაახლოებაში, ენერგოეფექტური მიდგომებისა თუ ტექნოლოგიებისთვის საჭირო ფინანსების მოზიდვასა და მდგრადი ენერგიის მიმართულებით ინოვაციების დანერგვაში.

ევროკავშირთან საქართველოს ასოცირების შეთანხმება და ენერგოეფექტურობა

¹ არქიტექტურისა და ქალაქთმშენებლობის თანამედროვე პრობლემები. სამეცნიერო - ტექნიკური ჟურნალი № 13, ISSN 2233-3266. მთ.რედაქტორი:გია ნაცვლიშვილი, თბილისი, 2020 [jurnali-nomeri 13- 2021.pdf \(gtu.ge\)](#)

ენერგოეფექტურობასთან დაკავშირებული საქართველოს საერთაშორისო ვალდებულებები და სტრატეგიული მიმართულებები აისახა როგორც ზოგად, ასევე სექტორულ კანონებსა და პოლიტიკის დოკუმენტებში. საერთაშორისო ხელშეკრულებებიდან განსაკუთრებით აღსანიშნავია ასოცირების შესახებ შეთანხმება, ერთის მხრივ, საქართველოსა და მეორეს მხრივ, ევროკავშირს და ევროპის ატომური ენერჯის გაერთიანებას და მათ წევრ სახელმწიფოებს შორის², მათ შორის ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცის შესახებ (DCFTA) (შემდგომში: ასოცირების შეთანხმება). იგი გულისხმობს საქართველოს კანონმდებლობის მიახლოებას ევროკავშირის კანონმდებლობასთან და ეს არის პროცესი, რამაც გრძელვადიან პერსპექტივაში ევროკავშირის წევრობამდე უნდა მიიყვანოს ქვეყანა .

ასოცირების შეთანხმებაში ენერგოეფექტურობის ზოგადი საკითხები ფართოდაა წარმოდგენილი, კერძოდ: მუხლი 216 (2) –“ზაზრების ორგანიზება“ , მუხლი 218 (1)- “ენერგეტიკული თანამეგობრობის შეთანხმებასთან მიმართებაში“, 231 (c) მუხლი - „ვაჭრობისა და ინვესტიციების ხელშემწყობი მდგრადი განვითარება“ და მუხლი 298 (h; j) - “თანამშრომლობა ენერგეტიკის სფეროში“.

კონკრეტული ღონისძიებები გაწერილია შეთანხმების დანართ XXV-ში. აღნიშნულ დანართში მოცემულია ევროკავშირის ის დირექტივები, რომელთა ნაწილობრივი შესრულება ევალება საქართველოს პირველ ეტაპზე. ეს დირექტივებია:

- 2006 წლის 5 აპრილის 2006/32/EC დირექტივა ენერჯის საბოლოო მოხმარების ეფექტიანობისა და ენერგო მომსახურებების შესახებ;
- 2010 წლის 19 მაისის ევროპარლამენტისა და საბჭოს 2010/31/EU დირექტივა შენობების ენერგოეფექტურობის შესახებ;
- 2010 წლის 19 მაისის ევროპარლამენტისა და საბჭოს 2010/30/EU დირექტივა ენერგომოხმარების პროდუქტების მიერ მოხმარებული ენერჯისა და სხვა წყაროების ეტიკეტირების და პროდუქციის თაობაზე სტანდარტული ინფორმაციის მითითების შესახებ;
- 2012 წლის 25 ოქტომბრის ევროპარლამენტისა და საბჭოს 2012/27/EU დირექტივა ენერგოეფექტურობის შესახებ.

გარდა ამისა, ასოცირების შეთანხმება მოითხოვს ზემოაღნიშნული დირექტივების აღმსრულებელ 30-მდე დირექტივა/რეგულაციის განხორციელებას. ასოცირების შეთანხმება ძალაშია 2016 წლიდან, მაგრამ უნდა აღინიშნოს, რომ 2019 წლის 11 დეკემბერს ევროკომისიის მიერ მიღებულ იქნა კომუნიკაცია (COM/2019/640 final) - „ევროკავშირის მწვანე შეთანხმება“³ . იგი წარმოადგენს ევროკავშირის განვითარების ახალ სტრატეგიას მდგრად ეკონომიკურ მოდელზე გადასვლისათვის, რომელმაც უნდა უზრუნველყოს ევროკავშირის კლიმატნიეტრალურობა 2050 წლისთვის. „მწვანე შეთანხმების“ ფარგლებში მიღებულ იქნა ევროკავშირის ახალი საკანონმდებლო აქტები ან შევიდა ცვლილებები უკვე

² ასოცირების შესახებ შეთანხმება ერთის მხრივ, საქართველოსა და მეორეს მხრივ, ევროკავშირს და ევროპის ატომური ენერჯის გაერთიანებას და მათ წევრ სახელმწიფოებს შორის. დოკუმენტის ნომერი 200/42. საგარეო საქმეთა სამინისტრო 27/06/2014 <https://matsne.gov.ge/ka/document/view/2496959>

³ COMMUNICATION FROM THE COMMISSION TO THE EUROPEAN PARLIAMENT, THE EUROPEAN COUNCIL, THE COUNCIL, THE EUROPEAN ECONOMIC AND SOCIAL COMMITTEE AND THE COMMITTEE OF THE REGIONS. The European Green Deal COM/2019/640 final. Brussels, 11.12.2019 [EUR-Lex - 52019DC0640 - EN - EUR-Lex \(europa.eu\)](https://eur-lex.europa.eu/eur-lex.do?uri=CELEX:52019DC0640:EN:EUR-Lex)

არსებულში საკანონმდებლო აქტებში. ამ უკანასკნელიდან რამდენიმე ასახულია ასოცირების შეთანხმებაში (მაგალითად, ენერგოეფექტურობის დირექტივა), ამიტომ საქართველო ვალდებულია უშუალოდ ჩაერთოს „მწვანე შეთანხმების“ განხორციელებაში. ეს აუცილებლობა უფრო ცხადი ხდება თუ გავითვალისწინებთ, რომ 2023 წლის დეკემბრიდან საქართველო ევროკავშირის კანდიდატი ქვეყანაა. ასოცირების შეთანხმების განხორციელების ევროპულ შეფასებაში (2022) აღნიშნულია, რომ ევროკავშირმა და საქართველომ ასევე უნდა განიხილონ ასოცირების შეთანხმებით გათვალისწინებული ვალდებულებების განახლება ევროკავშირის ახალი კანონმდებლობის შესაბამისად (მაგ., ერთიან ციფრულ ბაზართან და „მწვანე შეთანხმებასთან“ დაკავშირებით). ევროკომისიის კომუნიკაციაში ევროკავშირის გაფართოების პოლიტიკის შესახებ (2023) ენერგეტიკასა და ენერგოეფექტურობისთან მიმართებით, ნათქვამია - ქვეყანას (საქართველო) სჭირდება ინსტიტუციური თანამშრომლობის გაძლიერება და კოორდინაცია მისი ფრაგმენტული და არათანმიმდევრული საკანონმდებლო ჩარჩოს გასაუმჯობესებლად.⁴

ევროკავშირის ზემოხსენებულ სტრატეგიაში ენერგოეფექტურობას განსაკუთრებული ადგილი უჭირავს. „მწვანე შეთანხმების“ პოლიტიკის 8 მიმართულებიდან ორი უშუალოდ არის დაკავშირებული ენერგოეფექტურობასთან. ესენია:

- სუფთა, ხელმისაწვდომი და უსაფრთხო ენერჯის მიწოდება;
- მშენებლობა და შენობების განახლება ენერგო და რესურსეფექტური გზით.

ამ მიზნების შესრულებისთვის ევროკომისიამ დაამტკიცა შენობების „განახლების ტალღის“ სტრატეგია.⁵

ენერგოეფექტურობა და საქართველოს კანონმდებლობა

საქართველოს ევროკავშირთან ასოცირების შეთანხმების მოთხოვნათა შესრულება ხანგრძლივი პროცესია. საქართველოს კანონმდებლობის ევროკავშირის კანონმდებლობასთან მიახლოებას მოყვა ცვლილებები საქართველოს კანონმდებლობაში და რიგ შემთხვევებში ახალი კანონების მიღება. 2019-2020 წლებში საქართველოს პარლამენტმა ენერგოეფექტურობის მიმართულებით სამი კანონი მიიღო:

- კანონი ენერგოეტიკეტირების შესახებ (2019)⁶

⁴ COMMISSION STAFF WORKING DOCUMENT Georgia 2023 Report. Accompanying the document. Communication from the Commission to the European Parliament, the Council, the European Economic and Social Committee and the Committee of the Regions 2023 Communication on EU Enlargement policy Brussels, 8.11.2023 SWD(2023) 697 final

⁵ COMMUNICATION FROM THE COMMISSION TO THE EUROPEAN PARLIAMENT, THE COUNCIL, THE EUROPEAN ECONOMIC AND SOCIAL COMMITTEE AND THE COMMITTEE OF THE REGIONS A Renovation Wave for Europe - greening our buildings, creating jobs, improving lives COM/2020/662 final, Brussels, 14.10.2020. <https://eur-lex.europa.eu/legal-content/EN/TXT/?uri=CELEX%3A52020DC0662>

⁶ საქართველოს კანონი ენერგოეტიკეტირების შესახებ. დოკუმენტის ნომერი 5688-რს. საქართველოს პარლამენტი 20.12.19 <https://matsne.gov.ge/ka/document/view/4745123?publication=1>

- კანონი ენერგოეფექტურობის შესახებ (2020)⁷
- კანონი შენობების ენერგოეფექტურობის შესახებ (2020)⁸

საქართველოს კანონი ენერგოეტიკეტირების შესახებ

კანონის ძირითადი მიზანია „საქართველოს ბაზარზე განთავსებული ან/და საქართველოში ექსპლუატაციაში გაშვებული ენერგომომხმარებელი პროდუქტის მიერ ენერჯისა და სხვა რესურსების მოხმარების შესახებ, აგრეთვე აღნიშნული პროდუქტის ენერგომომხმარების მაჩვენებლების შესახებ სტანდარტული ინფორმაციისა და დამატებითი ინფორმაციის პროდუქტზე მითითების უზრუნველყოფა, რაც მომხმარებელს საშუალებას მისცემს, ენერჯისა და სხვა რესურსების მოხმარების შემცირების მიზნით უფრო ეფექტიანი პროდუქტის შერჩევა. ამ კანონის მიზანია აგრეთვე საქართველოს ბაზარზე განთავსებული ან/და საქართველოში ექსპლუატაციაში გაშვებული ენერგომომხმარებელი პროდუქტის ამ კანონითა და სათანადო ტექნიკური რეგლამენტით განსაზღვრულ მოთხოვნებთან შესაბამისობის უზრუნველყოფა“.

კანონით განსაზღვრულია მისი მოქმედების სფერო, ინფორმაციის მიწოდებისა და მიმწოდებლის/დილერის ვალდებულებები, ადმინისტრაციული პასუხისმგებლობა კანონის მოთხოვნათა დარღვევისთვის. ამ კანონითა და სათანადო ტექნიკური რეგლამენტით განსაზღვრულ მოთხოვნებთან შესაბამისობის ზედამხედველობას ახორციელებენ შემოსავლების სამსახური და საჯარო სამართლის იურიდიული პირი - ბაზარზე ზედამხედველობის სააგენტო. კანონის განხორციელებისთვის მიღებულია რამდენიმე კანონქვემდებარე აქტი.

საქართველოს კანონი ენერგოეფექტურობის შესახებ

კანონის მიზნებია:

- ა) ენერჯის დაზოგვის, ენერჯის მიწოდების უსაფრთხოებისა და ენერგოდამოუკიდებლობის გაზრდა, აგრეთვე ენერგეტიკულ ბაზარზე ენერგოეფექტურობის გაუმჯობესების ხელშემშლელი დაბრკოლებების მაქსიმალურად აღმოფხვრა;
- ბ) ქვეყანაში ენერგოეფექტურობის ხელშეწყობისა და განხორციელებისთვის საჭირო ღონისძიებების ზოგადი სამართლებრივი საფუძვლების განსაზღვრა „ენერგეტიკული გაერთიანების დამფუძნებელ შეთანხმებასთან საქართველოს შეერთების შესახებ“ (საქართველო მიუერთდა 2017 წელს), ოქმით დადგენილი მიზნის მიღწევის უზრუნველსაყოფად;
- გ) ენერგოეფექტურობის ეროვნული სამიზნე მაჩვენებლის შემუშავების პროცედურის ჩამოყალიბება;

⁷ საქართველოს კანონი ენერგოეფექტურობის შესახებ. დოკუმენტის ნომერი 5898-სს. საქართველოს პარლამენტი 21.05.2020 <https://matsne.gov.ge/ka/document/view/4873938?publication=0>

⁸ საქართველოს კანონი შენობების ენერგოეფექტურობის შესახებ. დოკუმენტის ნომერი 5900-სს. საქართველოს პარლამენტი 21.05.2020 <https://www.matsne.gov.ge/ka/document/view/4873932?publication=1>

დ) ენერგოეფექტურობის სამოქმედო გეგმის მიღების პროცედურის ჩამოყალიბება;

ე) ენერგოეფექტურობის ვალდებულების სქემის ან/და პოლიტიკის ალტერნატიული ღონისძიებების ჩამოყალიბება ენერჯის დაზოგვის უზრუნველსაყოფად;

ვ) ქვეყანაში ენერგოეფექტურობის პოლიტიკის, მისი კოორდინაციის, კონტროლის, ზედამხედველობისა და მონიტორინგის განხორციელება.

კანონი განსაზღვრავს საჯარო და კერძო დაწესებულებების, საყოფაცხოვრებო მომხმარებლების, ენერგომომსახურების მიმწოდებლების, მრეწველობისა და ეკონომიკის სხვა სექტორების ვალდებულებებსა და პასუხისმგებლობის ზომებს ენერჯის ეფექტური მოხმარების, ენერგოდაზოგვის ხელშეწყობისა და ენერგომომსახურების ბაზრის განვითარების პროცესში.

კანონით განსაზღვრული საქმიანობების განხორციელებისთვის, რომლებიც ახალი საქმიანობებია ჩვენს სინამდვილეში, საქართველოს მთავრობა, ეკონომიკის და მდგრადი განვითარების სამინისტროს წარდგინებით ამტკიცებს სატრენინგო პროგრამებს (მუხლი 14):

ა) ენერგომომსახურების მიმწოდებლებისთვის;

ბ) მრეწველობის სექტორში ენერგოაუდიტის განმახორციელებელთათვის;

გ) შენობების ენერგოეფექტურობის სერტიფიცირების განმახორციელებელთათვის;

დ) ენერგომენეჯერებისა და შენობის მიერ ენერჯის მოხმარებაზე გავლენის მქონე ელემენტების მემონტაჟებისთვის.

სატრენინგო პროგრამით მომზადებულ ექსპერტთა სიას ადგენს ეკონომიკის და მდგრადი განვითარების სამინისტრო და მას საკუთარ ვებგვერდზე აქვეყნებს.

საყურადღებოა კანონის მუხლი 15 „სახელმწიფო შესყიდვა“. დღევანდელი სახელმწიფო შესყიდვების კანონმდებლობა ტენდერის ჩატარებისას ძირითადად ყურადღებას ამახვილებს შესყიდვის შემოთავაზებულ ფასზე. ენერგოეფექტურმა ტექნოლოგიებმა კი შეიძლება გააძვირონ შესყიდვა, ამიტომ საჯარო სამართლის იურიდიული პირი – „სახელმწიფო შესყიდვების სააგენტო“ შეიმუშავებს და საქართველოს მთავრობას დასამტკიცებლად წარუდგენს სახელმწიფო შესყიდვების სფეროში ენერგოეფექტურობის განხორციელების წესებსა და სახელმძღვანელო პრინციპებს, ხარჯეფექტურობის, ეკონომიკური მიზანშეწონილობის, მდგრადობის პრინციპების, ტექნიკური შესაბამისობისა და სათანადო კონკურენციის გათვალისწინებით.

კანონი განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობს ადმინისტრაციული ორგანოების სარგებლობაში არსებული შენობების ენერგოეფექტურობის პოლიტიკას (მუხლი 17). ამისთვის საქართველოს მთავრობა:

ა) ყოველწლიურად უზრუნველყოფს ადმინისტრაციული ორგანოს სარგებლობაში არსებული, გათბობის ან გაგრილების საჭიროების მქონე შენობის საერთო სასარგებლო ფართობის 1%-ის (ამჟამად მიმდინარეობს მსჯელობა ფართობის 3%-დე გაზრდაზე), განახლებას საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული მინიმალური ენერგეტიკული მახასიათებლების მიღწევის მიზნით;

ბ) უზრუნველყოფს ადმინისტრაციული ორგანოს სარგებლობაში არსებულ შენობაში და სხვა ობიექტზე ენერგომენეჯმენტის სისტემების დანერგვას.

შენობის საერთო სასარგებლო ფართობის 1%-ის განახლების ვალდებულება არ ვრცელდება:

ა) კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის სტატუსის მქონე შენობაზე, თუ ამ შენობის ენერგეტიკული მახასიათებლების შეცვლა გამოიწვევს მისი განსაკუთრებული ხასიათისა და გარეგნული იერსახის ცვლილებას;

ბ) საქართველოს თავდაცვის ძალების სარგებლობაში ან ადმინისტრაციული ორგანოს სარგებლობაში არსებულ შენობაზე, რომელიც გამოიყენება ეროვნული/საზოგადოებრივი უსაფრთხოებისთვის, გარდა საცხოვრებელი შენობისა ან შეიარაღებული ძალების საოფისე შენობისა;

გ) საკულტო-რელიგიური დანიშნულების შენობა-ნაგებობაზე.

ზოგადად ამ კანონით განსაზღვრული ენერგოეფექტურობის პოლიტიკა ითვალისწინებს ენერგოეფექტურობის საკანონმდებლო ბაზის შექმნას (კანონი ითვალისწინებს, რამდენიმე კანონქვემდებარე აქტის მიღებას), ენერგოეფექტურობისა და ენერჯის დაზოგვის ეროვნული სამიზნე მაჩვენებლების განსაზღვრას და იმ ბარიერების აღმოფხვრას, რომლებიც ხელს უშლის ენერჯის მიწოდებისა და მოხმარების ეფექტურობას და ენერგოეფექტურობის ეროვნული სამოქმედო გეგმით განსაზღვრული ენერჯის დაზოგვის ეროვნული სამიზნე მაჩვენებლის მიღწევას.

კანონი ითვალისწინებს 17 კანონქვემდებარე აქტის მიღებას. მათი უმრავლესობა მიღებულია, თუმცა რამდენიმე მათგანი მხოლოდ 2025 წლიდან შედის ძალაში, ხოლო რამდენიმე, ძალიან მნიშვნელოვანი კანონქვემდებარე აქტი ჯერაც არ არის შემუშავებული. შესაბამისად, ნათელია, რომ კანონი სრულყოფილად ვერ იმუშავებს.

კანონის მიღებიდან (21.05.20) 12 თვეში გამოსაცემი აქტები	მიღების/ ძალაში შესვლის თარიღი
ენერგოეფექტურობის ვალდებულების სქემის ან პოლიტიკის ალტერნატიული ღონისძიებების ან ენერგოეფექტურობის ვალდებულების სქემისა და პოლიტიკის ალტერნატიული ღონისძიებების დამტკიცება	20.05.22
ენერგეტიკული გაერთიანების სამდივნოსთვის ენერგოეფექტურობის ეროვნული სამიზნე მაჩვენებლის შესრულების თაობაზე ანგარიშგების წესის დამტკიცება	20.05.22
გაზომვისა და დადასტურების პლატფორმის ფორმატის განსაზღვრას და მასზე ინფორმაციის/მონაცემების განთავსების წესის დამტკიცება	12.10.22/ 23.09.23
ადმინისტრაციული ორგანოს სარგებლობაში არსებული შენობების რეესტრის წარმოების წესის დამტკიცება	03.08.22.
ენერგოაუდიტის ჩატარების წესის დამტკიცება	არ არის მიღებული
ენერგოეფექტურობის გასაუმჯობესებელი ღონისძიებების განხორციელებისა და მიღწეული ენერგოდანაზოგების შესახებ ანგარიშგების წესის დამტკიცება	12.10.22/ 23.09.23
ადმინისტრაციული ორგანოს სარგებლობაში არსებული შენობის ენერგომახასიათებლების შესახებ ხელშეკრულების ნიმუშის დამტკიცება	
ენერგომახასიათებლების შესახებ ხელშეკრულებისთვის ანგარიშსწორების წესების დამტკიცება	
ენერგომახასიათებლების შესახებ ხელშეკრულების მხარეთა ზოგადი უფლება-მოვალეობების განსაზღვრა	16.02.23/ 01.01.25
სატრენინგო პროგრამების დამტკიცება	არ არის მიღებული
ენერგოეფექტურობის ეროვნული სამოქმედო გეგმის (ეესგ) დამტკიცება	მუშავდება ახალი გეგმა
ენერგოაუდიტორთა სერტიფიცირებისა და აკრედიტაციის წესების დამტკიცება	არ არის მიღებული
კანონის მიღებიდან (21.05.20) 16 თვეში გამოსაცემი აქტები	
ამ კანონით გათვალისწინებული ადმინისტრაციული პასუხისმგებლობის დაკისრების შესახებ ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმის ფორმის დამტკიცება	14/07/22
გათბობისა და გაგრილების სისტემების ხარჯეფექტურობის ანალიზის წესის დამტკიცება	20/05/22
კანონის მიღებიდან (21.05.20) 24 თვეში გამოსაცემი აქტები	
ენერგომახასიათებლების შესახებ ხელშეკრულების განხორციელების ბიუჯეტირების წესის დამტკიცება	01.08.22/ 01.01.25
სახელმწიფო შესყიდვების სფეროში ენერგოეფექტურობის განხორციელების წესებისა და სახელმძღვანელო პრინციპების დამტკიცება	
ენერგოეფექტური სახელმწიფო შესყიდვების განხორციელების მიზნით ეროვნული მონეტარული ზღვრების დამტკიცება	

საქართველოს კანონი შენობების ენერგოეფექტურობის შესახებ

კანონის მიზანია შენობებში ისეთი სისტემის დანერგვა, რომელიც ენერგორესურსების რაციონალურ გამოყენებას შეუწყობს ხელს.

კანონი მეპატრონეებს შენობის ენერგოეფექტურობის სერტიფიკატის ფლობას ავალდებულებს. აღნიშნულ რეგულაციას დაექვემდებარება როგორც ახალი, ისე ძველი შენობები. სერტიფიკატის გაცივმა მხოლოდ იმ შენობებზე, რომლებიც ენერგოეფექტურობის მინიმალურ მოთხოვნებს დააკმაყოფილებენ და შენობის ან შენობის ნაწილის ენერგოეფექტურობის გაუმჯობესების მოთხოვნებს გა ითვალისწინებენ. გარდა ამისა, შენობებში მოხდება გათბობისა და ჰაერის კონდიციონირების ინსპექტირებაც. შენობის ენერგოეფექტურობის სერტიფიცირებას და შენობაში გათბობის სისტემების ინსპექტირებას დამოუკიდებელი ექსპერტი განახორციელებს.

კანონს შემოაქვს და განმარტავს მასში გამოყენებულ ცნებებს, მათ შორის ისეთ საკვანძო ცნებებს როგორებიცაა:

ენერგოაუდიტი – სისტემური პროცედურა, რომლის მიზანია შენობის სამრეწველო ან კომერციული პროცესის ან/და დანადგარის, საჯარო ან კერძო მომსახურების ობიექტის მიერ ენერგიის მოხმარების შესახებ არსებული ინფორმაციის მოძიება, ენერგიის დაზოგვის ხარჯეფექტური პოტენციალის გამოვლენა, გაანგარიშება და შედეგების შესახებ ანგარიშგება;

ენერგოეფექტურობის კლასი – შენობის ენერგოეფექტურობის აღმნიშვნელი, ადვილად აღსაქმელი საზომი, რომელიც გამოხატულია ლათინური ანბანის ასოებით – „A“-დან „G“-ის ჩათვლით;

ენერგოეფექტურობის სერტიფიკატი – შენობის ან შენობის ნაწილის ენერგოეფექტურობის ამსახველი დოკუმენტი, რომელიც გაცემულია დამოუკიდებელი ექსპერტის მიერ.

თითქმის ნულოვანი ენერგომოხმარების შენობა – შენობა, რომელსაც აქვს ძალიან მაღალი ენერგოეფექტურობა და ენერგიაზე თითქმის ნულოვანი ან ძალიან მცირე მოთხოვნილება, რომლის მნიშვნელოვანი ნაწილი იმავე ადგილზე ან ახლო ტერიტორიაზე წარმოებული, განახლებადი წყაროებიდან მიღებული ენერგიით კმაყოფილდება.

აღსანიშნავია, რომ მოთხოვნა - შენობა იყოს ნულოვანი ენერგომოხმარების - მყისიერად არ შედის ძალაში. მოთხოვნა გავრცელდება შენობებზე, რომელთა მშენებლობის ნებართვის მისაღებად განცხადება წარდგენილი იქნება 2029 წლის 30 სექტემბრის შემდეგ. ხოლო იმ შენობებისთვის, რომლებიც საჯარო დაწესებულების სარგებლობაშია ან/და საკუთრებაშია, მშენებლობის ნებართვის მისაღებად განცხადება წარდგენილი უნდა იყოს 2027 წლის 30 სექტემბრის შემდეგ.

კანონი ითვალისწინებს რამდენიმე კანონქვემდებარე აქტის მიღებას. დღეისათვის მათი უმრავლესობა მიღებული არ არის. გასათვალისწინებელია ისიც, რომ კანონის ძირითადი მუხლები ძალაში შედის 2026, 2027 და 2029 წლებში.

2023 წლის 1 ივლისიდან ამოქმედდა საქართველოში შენობების, შენობების ნაწილების ან შენობების ელემენტების ენერგოეფექტურობის მინიმალური მოთხოვნები, რომელთა დამადასტურებელი დეკლარაციის წარდგენის გარეშე პროექტი სამშენებლო ნებართვას ვერ მიიღებს.

ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრომ დაიწყო სპეციალისტების რეესტრის შექმნა, რომლებიც სამშენებლო პროექტების ენერგოეფექტურობის მინიმალურ მოთხოვნებთან შესაბამისობის დეკლარაციის შევსებაზე იქნებიან პასუხისმგებელი.

საქართველოს მთავრობის დადგენილებით №283 (03.08.23) შევიდა ცვლილებები „შენობების, შენობების ნაწილების ან შენობების ელემენტების ენერგოეფექტურობის მინიმალური მოთხოვნების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2021 წლის 13 ივლისის №354 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე, რითაც დამტკიცდა „მოთხოვნები საექსპერტო დასკვნის მომზადებაზე უფლებამოსილი ექსპერტის მიმართ“ (დადგენილების დანართი 3), ხოლო ენერგოეფექტურობის მინიმალური მოთხოვნები ვრცელდება ყველა ახალ შენობაზე (იმ ახალშენებლობაზე, რომელზეც მშენებლობის ნებართვის მისაღებად განცხადება წარდგენილი იქნება 2022 წლის 30 ივნისის შემდეგ), ახალი შენობის ნაწილსა და ახალი შენობის ელემენტზე. მნიშვნელოვანი რეკონსტრუქციის შემთხვევაში, ენერგოეფექტურობის მინიმალური მოთხოვნები ვრცელდება აგრეთვე არსებულ შენობასა და არსებული შენობის ნაწილზე, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ამ მოთხოვნების გამოყენება შენობის ექსპლუატაციის პერიოდში ხარჯეფექტური არ იქნება. ხარჯეფექტურობის გამოთვლა ხორციელდება „შენობების, შენობების ნაწილების ან შენობების ელემენტების ენერგოეფექტურობის მინიმალური მოთხოვნების ხარჯოპტიმალური დონეების გამოთვლის შედარებითი მეთოდოლოგიით“ საქართველოს მთავრობის დადგენილების შესაბამისად.

დადგენილებაში აღნიშნულია, რომ „საპროექტო დოკუმენტაციის არქიტექტურული, კონსტრუქციული და საინჟინრო-ტექნიკური ნაწილის მინიმალურ მოთხოვნებთან შესაბამისობის შემოწმება 2025 წლის 30 ივნისის ჩათვლით ხორციელდება ამ დადგენილებით დამტკიცებული დანართ 3-ით განსაზღვრული ექსპერტების მიერ ან ეროვნული პროგრამის საფუძველზე, ხოლო 2025 წლის 30 ივნისის შემდეგ – საქართველოს მთავრობის დადგენილების შესაბამისად განსაზღვრული შენობების, შენობების ნაწილების ან შენობების ელემენტების ენერგოეფექტურობის მინიმალურ მოთხოვნებზე საექსპერტო დასკვნის მომზადებაზე უფლებამოსილი ექსპერტების მიერ ეროვნული პროგრამის დასტურის საფუძველზე.“

20.06.21 -მდე მისაღები აქტები	მიღების/ ძალაში შესვლის თარიღი
შენობების ენერგოეფექტურობის გამოთვლის ეროვნული მეთოდოლოგიის დამტკიცება	07.09.21
შენობების, შენობების ნაწილების ან შენობების ელემენტების ენერგოეფექტურობის მინიმალური მოთხოვნების დამტკიცება	13.07.21
შენობების, შენობების ნაწილების ან შენობების ელემენტების ენერგოეფექტურობის მინიმალური მოთხოვნების ხარჯოპტიმალური დონეების გამოთვლის შედარებითი მეთოდოლოგიის დამტკიცება	არ არის მიღებული
ენერგოეფექტურობის გამოსათვლელი ერთი ან რამდენიმე პროგრამის შემუშავებისა და გამოყენების წესის დამტკიცება	არ არის მიღებული
ახალი შენობის/არსებული შენობის ჯამური ენერგოეფექტურობის გათვალისწინებით, შენობის საინჟინრო-ტექნიკური უზრუნველყოფის სისტემების სწორი შერჩევისა და მონტაჟის, რეგულირებისა და მართვის წესების დამტკიცება	არ არის მიღებული
შენობების ენერგოეფექტურობის სერტიფიკატებისა და გათბობისა და ჰაერის კონდიციონირების სისტემების ინსპექტირების ანგარიშების რეესტრისა და დამოუკიდებელი ექსპერტების შესახებ მონაცემთა ბაზის წარმოების წესის დამტკიცება	03.08.23
01.01.22-მდე მისაღები აქტები	
შენობების ენერგოეფექტურობის სერტიფიცირების წესის დამტკიცება	არ არის მიღებული
შენობებში გათბობისა და ჰაერის კონდიციონირების სისტემების რეგულარული ინსპექტირების წესის დამტკიცება	არ არის მიღებული
შენობების ენერგოეფექტურობის სერტიფიკატების გამცემი და შენობებში გათბობისა და ჰაერის კონდიციონირების სისტემების ინსპექტირების განმახორციელებელი დამოუკიდებელი ექსპერტის აკრედიტაციისა და სერტიფიცირების წესების დამტკიცება	03.08.23
შენობების ენერგოეფექტურობის სერტიფიკატებისა და გათბობისა და ჰაერის კონდიციონირების სისტემების ინსპექტირების ანგარიშების შემოწმებისა და გადამოწმების წესების დამტკიცება	არ არის მიღებული

ენერგოეფექტურობის პოლიტიკის დოკუმენტები

ენერგოეფექტურობა და კლიმატის ცვლილების პრობლემები ერთმანეთთან მჭიდროდ არის დაკავშირებული.

საქართველოს კანონის “ენერგოეფექტურობს შესახებ” თანახმად, ამ სფეროში პოლიტიკის ძირითადი დოკუმენტი უნდა ყოფილიყო საქართველოს ენერგოეფექტურობის ეროვნული სამოქმედო გეგმა.⁹ ასეთი დოკუმენტი შემუშავებულ იქნა 2019-2020 წლებისთვის, რომელშიც ასახული იქნა ამ პერიოდში განსახორციელებელი ენერგოეფექტურობის განვითარების ხელშეწყობის საინვესტიციო და პოლიტიკის ღონისძიებები, თუმცა მიღებულ იქნა გადაწყვეტილება აღარ განახლებულიყო მუშაობა აღნიშნულ დოკუმენტზე, დაიგეგმა „ენერგოეფექტურობის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანა, რომლითაც ენერგოეფექტურობის ეროვნული სამოქმედო გეგმა ჩანაცვლდებოდა „საქართველოს ენერგეტიკისა და კლიმატის ეროვნული ინტეგრირებული გეგმით“, რომლის პროექტიც უკვე შემუშავებულია. ეს დამატებით მიგვანიშნებს მჭიდრო კავშირს ენერგოეფექტურობასა და კლიმატის ცვლილების პრობლემატიკას შორის.

აღსანიშნავია 2022 წელს მთავრობის მიერ მიღებული ქვეყნის განვითარების პოლიტიკის უპირველესი დოკუმენტი „ხედვა 2030 - საქართველოს განვითარების სტრატეგია“, სადაც ენერგოეფექტურობას ეთმობა ერთი ქვეთავი. დოკუმენტში ნათქვამია, რომ ენერგოეფექტურობის ხელშესაწყობად, არსებული ენერგოდეფიციტის დასაბალანსებლად, ადგილობრივი რესურსების ათვისების პარალელურად, აქტიურად გატარდება ენერჯის დაზოგვისაკენ მიმართული ზომები. ეს შექმნის დამატებით საშუალებას, შემცირდეს იმპორტის წილი ქვეყნის ერთიან ენერგეტიკულ ბალანსში. დოკუმენტში ძირითადად ჩამოთვლილია ის საქმიანობები, რომლებსაც ითვალისწინებს საქართველოს შესაბამისი კანონმდებლობა.

2015 წელს, გაეროს კლიმატის ცვლილების ჩარჩო კონვენციის (UNFCCC) მხარეთა კონფერენციამ (COP) მიიღო პარიზის შეთანხმება - კლიმატის ცვლილების საერთაშორისო რეჟიმის შესახებ სამართლებრივად სავალდებულო მესამე შეთანხმება. იგი ვრცელდება კონვენციაზე მიერთებულ ყველა სახელმწიფოზე, მათი განვითარების დონის მიუხედავად. პარიზის შეთანხმება ადგენს, ერთი მხრივ, ოპერაციულ მიზანს, შეიზღუდოს გლობალური საშუალო ტემპერატურის ზრდა 2°C-მდე წინარე ინდუსტრიულ დონესთან შედარებით და მეორე მხრივ, სასურველ მიზანს, შეიზღუდოს ტემპერატურის ზრდა 1.5°C-მდე.

ვალდებულებიდან გამომდინარე, საქართველომ მოამზადა „განახლებული ეროვნულ დონეზე განსაზღვრული წვლილის“¹⁰ დოკუმენტი და „კლიმატის ცვლილების 2030 წლის სტრატეგიისა და 2024-2025 წლების სამოქმედო გეგმა“.¹¹ ამ დოკუმენტებით საქართველომ განსაზღვრა სათბურის აირების შემცირების ქვეყნის მთავარი და სექტორული სამიზნე მაჩვენებლები, მიმართულებები და ღონისძიებები 2030 წლისთვის.

⁹ ენერგოეფექტურობის სამოქმედო გეგმა (ეესგ) 2019-2020. საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო 2018 http://www.economy.ge/uploads/files/2017/energy/samoqmedo_gagma/2019_020_clis_energoefekturobis_samoqmedo_gagma.pdf

¹⁰ განახლებული ეროვნულ დონეზე განსაზღვრული წვლილი (NDC), საქართველოს მთავრობა- 2021 <https://mepa.gov.ge/Ge/Files/ViewFile/50125>

¹¹ საქართველოს კლიმატის ცვლილების 2030 წლის სტრატეგიისა და საქართველოს კლიმატის ცვლილების 2030 წლის სტრატეგიის 2021 – 2023 წლების სამოქმედო გეგმის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2021 წლის 8 აპრილის №167 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ. (#113, 29.03.24) <https://matsne.gov.ge/ka/document/view/6145369>

კლიმატის სტრატეგია და სამოქმედო გეგმა განსაზღვრავს კლიმატის ცვლილების შერბილების სახელმწიფო პოლიტიკას შემდეგ სექტორებში: ენერჯის გენერაცია და გადაცემა, ენერჯის მოხმარება სატრანსპორტო სექტორში, ენერჯის მოხმარება შენობებში, ენერჯის მოხმარება მრეწველობაში და სამრეწველო პროცესებში, სოფლის მეურნეობაში, ნარჩენების მართვასა და სატყეო მეურნეობაში. ეს დოკუმენტი თანხვედრაშია ასოცირების შეთანხმებით გათვალისწინებულ ევროკავშირის სამართლებრივ აქტებთან. ამასთან, საქართველო, 2017 წლიდან, ენერგეტიკული გაერთიანების წევრია და როგორც წევრი, 2030 წლის მიზნების განსასაზღვრად ამზადებს ენერგეტიკისა და კლიმატის ინტეგრირებულ ეროვნულ სამოქმედო გეგმას, რომლის პროექტი ამჟამად განხილვაშია და რომელმაც, როგორც ავღნიშნეთ, უნდა შეცვალოს ენერგოეფექტურობის ეროვნული სამოქმედო გეგმა.

ენერგოეფექტურობის საკითხები ასახულია 2022-2026 წლებისთვის საქართველოს გარემოს დაცვის მოქმედებათა მეოთხე ეროვნული პროგრამაში, კერძოდ ამოცანა 12.2 -ში: ტყეზე ზეწოლის შემცირება ალტერნატიული წყაროებისა და ენერგოეფექტური ტექნოლოგიების გამოყენების წახალისებით. გარდა აღნიშნულისა, საქართველომ პრიორიტეტად მიიღო მდგრადი განვითარების (SDG) ჩვიდმეტივე მიზანი. მათ შორისაა ენერგოეფექტურობასთან მჭიდროდ დაკავშირებული ორი მიზანი: 7 – ხელმისაწვდომი, საიმედო სტაბილური და თანამედროვე ენერჯის საყოველთაო ხელმისაწვდომობა და მიზანი 13 – კლიმატის ცვლილებისა და მისი ზეგავლენის წინააღმდეგ გადაუდებელი ზომების გატარება. მიღებულ იქნა მდგრადი განვითარების მიზნების ეროვნული დოკუმენტი.¹²

აღნიშნული დოკუმენტები მჭიდრო კავშირშია ენერგოეფექტურობის საკითხებთან, ვინაიდან კლიმატის ცვლილების გავლენების შემცირება დიდადაა დამოკიდებული გარემოში სათბური აირების შემცირებასთან, რომელიც ენერგეტიკული რესურსების დაზოგვით ანუ ენერგოეფექტურობით მიიღწევა.

თვითმმართველობის დონეზე, განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ევროკავშირის მიერ 2008 წელს დაწყებული საერთაშორისო პროცესი „მერების შეთანხმება კლიმატისა და ენერგეტიკისთვის“ (შემდგომში: მერების შეთანხმება)¹³. ამჟამად შეთანხმებაზე ხელი აქვს მოწერილი 57 ქვეყნის 11 ათასზე მეტ ქალაქსა და მუნიციპალიტეტს. საქართველოში „მერების შეთანხმების“ ხელმომწერია 32 ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანო. მათ შორისაა ცაგერი, რომელიც 2023 წელის აგვისტოში მიუერთდა აღნიშნულ შეთანხმებას.

მერების შეთანხმების ხელმომწერებმა ვალდებულება აიღეს მოემზადებინათ და 2020 წლამდე განეხორციელებინათ მდგრადი ენერგეტიკის სამოქმედო გეგმა (SEAP). „მერების ახალი შეთანხმების“ ხელმომწერი და ენერგეტიკის შეთანხმების ხელმომწერი ვალდებულებას იღებენ მოამზადონ და 2030 წლამდე განახორციელონ „მდგრადი ენერგეტიკისა და კლიმატის სამოქმედო გეგმა“ (SECAP), რომელიც ითვალისწინებს კლიმატის ცვლილების შერბილებასაც და ადაპტაციასაც. სამოქმედო გეგმები წარმოადგენენ საკვანძო დოკუმენტებს, რომლებშიც გაწერილია თუ როგორ განახორციელებს შეთანხმების ხელმომწერი საკუთარ ხედვას და ამოცანას. გეგმები მოიცავენ არსებული სიტუაციის შეფასებას, ე.ი. საბაზისო ემისიის ინვენტარიზაციას კლიმატის ცვლილების

¹² მდგრადი განვითარების მიზნების ეროვნული დოკუმენტი. საქართველოს მთავრობის განკარგულება #2328. თბილისი 2019

¹³ მერების შეთანხმება კლიმატისა და ენერგეტიკისთვის - 2016 <https://www.com-east.eu/ka/official-documents/>

შერბილების ნაწილისთვის და რისკებისა და მოწყვლადობის შეფასებას, ხოლო ადაპტაციის ნაწილისთვის - დასახულ მიზნებსა და ამოცანებს, დაგეგმილ ღონისძიებებს თავისი ვადებით, პასუხისმგებელი პირებით და სავარაუდო შედეგებით. „მერების შეთანხმებით“ აღებული ვალდებულებები ვრცელდება ადგილობრივ სახელისუფლებო ორგანოს დაქვემდებარებულ მთელს გეოგრაფიულ ტერიტორიაზე, სამოქმედო გეგმა უნდა შეიცავდეს საქმიანობას, რომელსაც ეწევა როგორც სახელმწიფო, ისე კერძო სექტორი.

კლიმატის ცვლილების გლობალური მიზნებიდან გამომდინარე, შეთანხმების ხელმომწერები ვალდებულებას იღებენ ხელი შეუწყონ ამ მიზნების მიღწევას შემდეგი გზით:

ა) 2030 წლამდე ნახშირორჟანგის (ასევე, სხვა სათბურის აირების) გამოყოფის მინიმუმ 30%- ით შემცირებით, ენერგოეფექტურობის ამაღლებითა და განახლებადი ენერჯის წყაროების გამოყენების საშუალებით;

ბ) კლიმატის ცვლილებით გამოწვეული მოვლენებისადმი მედეგობის ამაღლება ადაპტაციის გზით;

გ) მერების გლობალური შეთანხმების ფარგლებში, ევროკავშირისა და მის გარეთ მდებარე, სხვა ადგილობრივ და რეგიონალური ხელისუფლების ორგანოებთან პირდაპირი თანამშრომლობითა და თანაბარი ურთიერთქმედების გზით.

დ) ხედვის, გამოცდილების და სიახლეების გაზიარებითა და ურთიერთგაცვლით.

შეთანხმების ხელმომწერთ შეუძლიათ თავად ამოირჩიონ მოქმედების არეალი. მოსალოდნელია, რომ სამოქმედო გეგმების უმეტესობა მოიცავს იმ სექტორებს, რომლებიც ემისიის ინვენტარიზაციაში და რისკებისა და მოწყვლადობის შეფასებაშია. კლიმატის ცვლილების შერბილებს ნაწილში რეკომენდებულია იმ აქტივობების შეტანა, რომელიც შეთანხმების საკვანძო სექტორებზეა მიმართული: მუნიციპალური შენობები, აღჭურვილობა/ნაგებობები სხვა (არამუნიციპალური) შენობები, აღჭურვილობა/ნაგებობები, საცხოვრებელი სახლები, ტრანსპორტი.

ენერგოეფექტურობა, ადგილობრივი თვითმართველობა და სამოქალაქო საზოგადოება

ენერგოეფექტურობის პრინციპების დანერგვა და განხორციელება ახალი საქმიანობაა, ამიტომ მისი პოპულარიზაცია, ენერგომომხმარებლების ცნობიერების ამაღლება და ადვოკატირება სამოქალაქო საზოგადოებრივი ორგანიზაციების პრიორიტეტი უნდა იყოს. მთავრობა და ადგილობრივი ხელისუფლება ვალდებულია ხელი შეუწყოს საზოგადოებრივი ორგანიზაციების საქმიანობას ამ მიმართულებით.

„საქართველოს ენერგეტიკის და კლიმატის ეროვნული ინტეგრირებული გეგმის“ პროექტის მიხედვით, ენერგოეფექტურობის შესახებ საზოგადოების ცნობიერების ამაღლების პროგრამების განხორციელების შედეგად, მომხმარებელთა პროცენტული რაოდენობა, რომლებიც ასახელებენ შენობების და საყოფაცხოვრებო ნივთების ენერგოეფექტურობას, როგორც მნიშვნელოვან ფაქტორს, გადაწყვეტილების მიღებისას არის/იქნება:

- მიზნობრივი კონტინგენტის 40% 2022 წელს;
- მიზნობრივი კონტინგენტის 55% 2024 წელს;
- მიზნობრივი კონტინგენტის 60% 2026 წელს;
- მიზნობრივი კონტინგენტის 70% 2028 წელს;

• მიზნობრივი კონტინგენტის 80% 2030 წელს.

„საქართველოს ენერგეტიკის და კლიმატის ეროვნული ინტეგრირებული გეგმის“ პროექტის მიხედვით ენერგოეფექტურობის ღონისძიებებისთვის სახელმწიფო ბიუჯეტიდან 2030 წლამდე გამოყოფილი უნდა იქნეს დაახლოებით 460 მლნ. ლარი. კერძო სექტორს კი საამისოდ დაახლოებით 6-ჯერ მეტი თანხის მობილიზება მოუწევს.

ასოციირების შეთანხმების 370-ე მუხლი მოითხოვს, რომ მხარეებმა ხელი შეუწყონ დიალოგისა და თანამშრომლობის განვითარებას ორივე მხარის სამოქალაქო საზოგადოების წარმომადგენლებს შორის, როგორც ევროკავშირისა და საქართველოს შორის ასოციირების შეთანხმების განუყოფელ ნაწილს.

დიალოგის მიზნებს წარმოადგენს:

(ა) ევროკავშირისა და საქართველოს შორის ურთიერთობებში, განსაკუთრებით კი წინამდებარე შეთანხმებით გათვალისწინებული დებულებების განხორციელების პროცესში სამოქალაქო საზოგადოების ჩართვა;

(ბ) საჯარო გადაწყვეტილებების მიღების პროცესში სამოქალაქო საზოგადოების მონაწილეობის უზრუნველყოფა, განსაკუთრებით საჯარო ინსტიტუტების წარმომადგენლობითი ასოციაციებსა და სამოქალაქო საზოგადოებას შორის ღია, გამჭვირვალე და რეგულარული დიალოგის შენარჩუნების გზით;

(გ) ინსტიტუტების მშენებლობისა და სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციების განვითარების მიზნით, სხვადასხვა მიმართულებით ხელშემწყობი გარემოს შექმნის უზრუნველყოფა რაც, სხვა საკითხებთან ერთად ითვალისწინებს ადვოკატირების მხარდაჭერას, არაფორმალურ და ფორმალურ კავშირებს, ერთობლივ ვიზიტებსა და სამუშაო სემინარებს, რაც უზრუნველყოფს სამოქალაქო საზოგადოებისათვის სამართლებრივი ჩარჩოს შექმნას;

(დ) თითოეული მხარის მიერ სამოქალაქო საზოგადოების წარმომადგენელთათვის შესაძლებლობების შექმნა, რათა ისინი გაეცნონ სამოქალაქო საზოგადოებასა, მათ შორის, სოციალურ პარტნიორებსა და საჯარო სამსახურებს შორის კონსულტაციებისა და დიალოგის პროცესს საჯარო პოლიტიკის შემუშავების პროცესში სამოქალაქო საზოგადოების ჩართულობის გაძლიერების მნიშვნელობის გათვალისწინებით.

კანონის „ენერგოეფექტურობის შესახებ“ 25 მუხლის „ენერგომომხმარებლის ინფორმირება და ცნობიერების ამაღლება“ თანახმად:

1. ენერჯის მცირე მომხმარებლების, მათ შორის, საყოფაცხოვრებო მომხმარებლების, მიერ ენერჯის ეფექტური მოხმარების ხელშეწყობისა და წახალისების მიზნით სამინისტრო მუნიციპალიტეტებთან თანამშრომლობით იღებს შესაბამის ზომებს ან/და საქართველოს მთავრობას წარუდგენს მოსაზრებებს:

ა) ენერგოეფექტურობის გასაუმჯობესებელი ღონისძიებების განხორციელების მიზნით:

- ა.ა) დაბალპროცენტიანი სესხების გაცემის თაობაზე;
- ა.ბ) ენერგოეფექტურობის ღონისძიებების ღირებულების ანაზღაურების თაობაზე;
- ა.გ) არაანაზღაურებადი ტექნიკური და ფინანსური დახმარების თაობაზე;

- ბ) ენერგოეფექტურობის გაზრდის მიზნით – ცნობიერების ამაღლების თაობაზე
- გ) საინფორმაციო და საგანმანათლებლო ღონისძიებების დაწესების თაობაზე;

- დ) სამუშაო ადგილებზე ენერჯის მოხმარებაში ქცევითი ცვლილების წახალისების თაობაზე;
- ე) საბოლოო მომხმარებლების, მათ შორის, ენერჯის მომხმარებელი ორგანიზაციების, მიერ აღრიცხვის „ჭკვიანი“ სისტემების დამონტაჟების წახალისების თაობაზე.

სამიზნე მუნიციპალიტეტებში ენერგოეფექტურობასთან დაკავშირებული კანონმდებლობის აღსრულების შეფასება

ენერგოეფექტურობის პრობლემატიკასთან დაკავშირებით სამიზნე მუნიციპალიტეტებს დაეგზავნათ წერილები. მიღებული პასუხები იხილეთ დანართში.

მუნიციპალიტეტებიდან მიღებული პასუხებით ირკვევა, რომ ენერგოეფექტურობის მიმართულებით რიგი სამუშაოებია ჩასატარებელი. არ ამოქმედებულა ენერგოეფექტურობის შესახებ კანონის 25-ე მუხლი, რომელიც უშუალოდ შეეხება მუნიციპალიტეტებს. ირკვევა აგრეთვე, რომ ამ საკითხით დაინტერესება გაიზარდა ჩვენი ორგანიზაციის წარმომადგენლების წინასწარი გაცნობითი ვიზიტების შემდგომ, რაც ძალზე მისასალმებელია. მუნიციპალიტეტებში დაიგეგმა რიგი ღონიძირებები ენერგოეფექტურობის ამაღლებისა და ამ საკითხში ცნობიერების ამაღლებისთვის.

ცაგერისა და ლენტეხის მუნიციპალიტეტებში ენერგოეფექტურობის სამუშაოები შემოიფარგლება გარე განათებით და რამდენიმე შენობების ელემენტარული დათბუნებით. ინფორმირებულობის მხრივ შედარებით უკეთესი მდგომარეობაა ცაგერში.

უნდა აღინიშნოს, რომ ორივე მუნიციპალიტეტში სრულდება “საქართველოს კლიმატის ცვლილების 2030 წლის სტრატეგიის” „2024–2025 წლების სამოქმედო გეგმის” 3.3.1. ამოცანის მოთხოვნა: „საჯარო დაწესებულების მფლობელობა/ სარგებლობაში არსებულ შენობებში ენერგოეფექტური განათების მონტაჟის ხელშეწყობა.“

ჩვენს მიერ შესწავლილი იქნა მუნიციპალიტეტების ის დოკუმენტები, რომლებშიც შეიძლება ასახულიყო ენერგოეფექტურობის საკითხები, კერძოდ: მუნიციპალიტეტების ბიუჯეტები, შესყიდვების სატენდერო დოკუმენტები, ცაგერის მუნიციპალიტეტის 2024-2027 საშუალოვადიანი სამოქმედო გეგმა და 2021-2024 ლენტეხის მუნიციპალიტეტის ეკონომიკური განვითარების გეგმა. არც ერთ ამ დოკუმენტებში ენერგოეფექტურობის საკითხები ასახული არ არის.

ზემოაღნიშნული ზოგადი ინფორმაციის შესწავლის გარდა, ორგანიზაციის მიერ ჩატარდა ენერგოეფექტურობის კანონმდებლობის შესახებ ქცევის, ცოდნისა და შეხედულებების თვისობრივი კვლევა ინტერვიუების გამოყენებით (იხილეთ კვლევის ძირითადი შედეგები სამიზნე ობიექტების მიხედვით).

სამიზნე ჯგუფებთან ინტერვიუების მოკლე ანალიზი

	თვითმმართველობა	სავაჭრო ობიექტები	მოსახლეობა
<p>1. სამიზნე ჯგუფების ქცევა ენერგოეფექტური საქონლის შექმნისას</p>	<p>ორივე მუნიციპალიტეტში გარე განათების ნათურები ენერგოეფექტურია. მუნიციპალიტეტებში, ინფრასტრუქტურის სამსახურის წარმომადგენლების ინფორმაციით ბიუჯეტის შედგენისას არ ითვალისწინებენ არც შენობებში (ახალი მშენებლობა და რემონტები) და არც შენობების აღჭურვისას მასალისა და ენერგომომხმარებელის საქონლის შექმნისას ენერგოეფექტურობას. ადგილობრივ ბალანსზე არსებული შენობების რემონტისას ორივე მუნიციპალიტეტში გათვალისწინებულია გარეფასადური დათბუნება, ასევე შეცვლილია კარ-ფანჯრები ორმაგი მინაპაკეტით.</p>	<p>ლენტეხში ენერგომომხმარებელი საქონლის და სამშენებლო მასალების მხოლოდ მცირე მოცულობის ფარდულებია, რომლის გამყიდველებს ფაქტობრივად არ აქვთ ინფორმაცია თუნდაც მათ მაღაზიებში არსებული საქონლის თუ მასალების ენერგოეფექტურობის შესახებ. ქალაქ ცაგერში არის საშუალო და მცირე ზომის მაღაზიები. მცირე ზომის მაღაზიებში გამყიდველს ფაქტობრივად არ აქვს ინფორმაცია ზოგადად ენერგოეფექტურობის და არც მაღაზიაში არსებული ელექტრომომხმარებელი საქონლის თუ საამშენებლო მასალის შესახებ. ქ. ცაგერში საშუალო მოცულობის ელექტრომომხმარებელი საქონლის და საამშენებლო მასალების მაღაზიების კონსულტანტებთან (იგივე მაღაზიის მეპატრონე) ჩაღრმავებული ინტერვიუებით გამოვლინდა, რომ მაღაზიისთვის გასაყიდი საქონლის შექმნისას ბაზრის მოთხოვნილების გათვალისწინებით იძენენ ენერგოეფექტურ საქონელს, ძირითადად ნათურებს. მომხმარებელს თავად აწოდებენ ინფორმაციას საქონლის სხვა თვისებებთან ერთად ენერგოეფექტურობის შესახებ, ასევე ითვალისწინებენ ეტიკეტზე დატანილ ინფორმაციას ენერგოეფექტურობის შესახებ.</p>	<p>საქონლის შექმნისას დაბა ლენტეხში, მომხმარებელი მარკეტში მეტ-ნაკლებად მოითხოვს ენერგოეფექტურ ნათურებს, სხვა საქონლის შექმნისას ძირითადად დამოკიდებულია მაღაზიის კონსულტანტის რჩევაზე. ქ. ცაგერში გამოკითხული მოსახლეობის უმრავლესობა მოიხმარს ენერგოეფექტურ ნათურებს. სხვა საქონლის შექმნისას ძირითადად დამოკიდებულია მაღაზიის კონსულტანტის რჩევაზე. ასევე გამოვლინდა, რომ ფაქტიურად მომხმარებელი არ კითხულობს ეტიკეტზე დატანილ ინფორმაციას. მიზეზად ასახელებენ არცოდნას ეტიკეტზე დატანილი ელექტრეფექტურობის ინფორმაციის შესახებ, ასევე იმას რომ მასალაზე დატანილი ინფორმაცია არ არის ქართულ ენაზე და არის ძალიან წვრილი შრიფტით წარმოდგენილი. ქ. ცაგერისა და დაბა ლენტეხის მოსახლეობის მნიშვნელოვან ნაწილს შეცვლილი აქვს კარ-ფანჯარა ორმაგი მინაპაკეტის კარ-ფანჯრებით.</p>

<p>2. ცოდნა კანონმდებლობის შესახებ</p>	<p>ლენტეხის მუნიციპალიტეტის თვითმმართველობების წარმომადგენლებს აქვთ ზედაპირული ცოდნა (გაუგიათ ამის შესახებ მასმედიის საშუალებებიდან და ინტერნეტიდან), ასევე მიეწოდათ ინფორმაცია ენერგოეფექტურობის კანონის შესახებ (ვერს აკონკრეტებენ რომელი უწყებიდან), არ განხორციელებულა ოფიციალური გზით ტრენინგი, ლექცია. ფაქტობრივად იციან, რომ არსებობს ენერგოეფექტურობის კანონმდებლობა, მაგრამ არ გაუგიათ ეტიკეტირების კანონის არსებობის შესახებ.</p> <p>ცაგერის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოს წარმომადგენლებისგან მოწოდებული ინფორმაციით: ენერგოეფექტურობის კანონის მოთხოვნათა შესახებ ფლობენ სრულ</p>	<p>ინფორმაცია ენერგოეფექტურობის კანონმდებლობის შესახებ მათ ფაქტობრივად არ აქვთ. აქვთ ზედაპირული ცოდნა საქონლის ეტიკეტირების შესახებ, რაც ფაქტობრივად მათ საქმიანობას ეხება.</p>	<p>ჩატარებული ფოკუსჯგუფების დისკუსიიდან გამომდინარე, რიგით მოსახლეობას (მომხმარებელს) ენერგოეფექტურობის კანონმდებლობის არსებობის შესახებ ინფორმაცია არ აქვს, ასევე არ იცნობს ეტიკეტირების და შენობების ენერგოეფექტურობის შესახებ კანონებს. მათი ინფორმაციის წყარო ძირითადად არის ტელევიზია, ინტერნეტი, შესაბამისი მაღაზიების კონსულტანტები, ასევე ნაცნობ-მეგობრები. ფოკუსჯგუფების მონაწილეების დიდ უმრავლესობას არ აქვს ინფორმაცია ენერგოეფექტურ კლასიფიკაციასა A+,A++, A+++ და არც A,B,C, G და შესაბამისი ფერების შესახებ.</p>

	<p>ინფორმაციას; ინფორმაციას ფლობენ „საქართველოს კანონის შენიშნების ენერგოეფექტურობის შესახებ“; არ აქვთ ინფორმაცია კანონის ეტიკეტირების შესახებ;</p>		
<p>3. დამოკიდებულება ენერგოეფექტურობასთან</p>	<p>დაბა ლენტეხისა და ქალაქ ცაგერის ადგილობრივი მოსახლეობის, ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლების, მაღაზიების მენეჯერების/კონსულტანტების გამოკითხვის შედეგების მიხედვით გამოკიხულთა დამოკიდებულება ენერგოეფექტური კანონმდებლობის მიმართ ამ ეტაპზე არის ძალიან ზედაპირული, თავადაც აცნობიერებენ ინფორმაციის (ცოდნის) ნაკლებობას, სურვილი აქვთ უკეთ იცნობდნენ კანონმდებლობას, განსაკუთრებით კანონმდებლობის 25-ე მუხლის ქვეპუნქტების პრაქტიკული განხორციელების შემთხვევებს.</p> <p>მათი მოსაზრებით, კარგი იქნება თუ მოკლე, კონკრეტული და დიფერენცირებული ინფორმაციის მიწოდება მოხდება ტრენინგების, ფლაერების ან მოკლე კლიპების სახით, როგორც სატელევიზიო ისე ინტერნეტრეკლამებში. <i>ბარიერების შესახებ აღქმა</i> უკავშირდება ცოდნის (ინფორმაციის) ნაკლებობას კანონმდებლობის შესახებ. ლენტეხის თვითმმართველობის წარმომადგენელს არ ქონდა ინფორმაცია ევროკავშირის ფართომასშტაბიანი ინიციატივის „მერების შეთანხმება კლიმატისა და ენერგეტიკისათვის“ შესახებ, ხოლო ცაგერის წარმომადგენლის მიერ მოწოდებული ინფორმაციით ცაგერი შეუერთდა ამ ინიციატივას 2023 წლის აგვისტოში და მიმდინარეობს მუშაობა სსამოქმედო გეგმის შედგენაზე.</p> <p>ორივე მუციპალიტეტის თვითმმართველობის ორგანოს წარმომადგენლებს აქვთ ცოდნა მზის ენერჯის წყალგამათბობლებსა და პანელებზე, მაგრამ ამბობენ, რომ ფასი მაღალია და მათ ბიუჯეტში ამ ენერგოეფექტურ აღჭურვილობების შეძენა გათვალისწინებული არ არის. ლენტეხის წარმომადგენლის აზრით, ადგილზე მზის ენერჯია არ იქნება საკმარისი ეფექტის მისაღებად.</p>		

დასკვნები და რეკომენდაციები

ანგარიშის მიზნებიდან გამომდინარე გაკეთდა ენერგოეფექტურობასთან დაკავშირებული საქართველოს კანონმდებლობისა და საერთაშორისო ხელშეკრულებების ანალიზი. სამიზნე მუნიციპალიტეტებში (ცაგერი და ლენტეხი) აღნიშნული კანონმდებლობის განხორციელებული და შეუსრულებელი მოთხოვნების იდენტიფიკაცია სათანადო დოკუმენტაციის, მუნიციპალიტეტებისადმი გაგზავნილ წერილებზე მიღებული პასუხებისა და სოციოლოგიურ კვლევაზე დაყრდნობით. მომზადდა შესაბამისი რეკომენდაციები.

მიუხედავად იმისა, რომ საქართველოს, ენერგოეფექტურობასთან დაკავშირებული საკანონმდებლო პროცესების კუთხით გარკვეული წინსვლა აქვს, ის კვლავ დიდი გამოწვევების წინაშე დგას, არ არის მიღებული ბევრი მნიშვნელოვანი კანონქვემდებარე აქტი. ამ სიტუაციას კარგად აღწერს შეფასება, რომელიც მოცემულია *ევროკომისიის კომუნიკაციაში ევროკავშირის გაფართოების პოლიტიკის შესახებ (2023) ენერგეტიკასა და ენერგოეფექტურობასთან მიმართებით* - ენერგოეფექტურობასთან დაკავშირებული საქართველოს კანონმდებლობა მოიხსენიება როგორც ფრაგმენტული და არათანმიმდევრული.

ენერგოეფექტურობის ახალი ეროვნული სამოქმედო გეგმა – ძირითადი დოკუმენტი, რომელიც ასახავს ენერგოეფექტურობის განხორციელების პრიორიტეტებს, მზად უნდა ყოფილიყო 2021 წლის ბოლოსათვის. როგორც აღნიშნეთ, მოგვიანებით გადაწყდა, რომ ეს შეცვლილიყო ენერგეტიკისა და კლიმატის ინტეგრირებული გეგმით, თუმცა დღესდღეობით გეგმა მიღებული არ არის, მაგრამ არსებობს მისი პროექტი.

კანონმდებლობის აღსრულების პრობლემები განსაკუთრებით თვალსაჩინოა მუნიციპალიტეტების დონეზე, სადაც საზოგადოების გათვითცნობიერება ენერგოეფექტურობასთან დაკავშირებულ საკითხებში შედარებით დაბალია. ამას ადასტურებს როგორც სოციოლოგიური კვლევის შედეგები, ისე უშუალოდ მუნიციპალიტეტებიდან მიღებული ინფორმაცია, რის თანახმადაც არც ერთ მუნიციპალიტეტის ადგილობრივ ბიუჯეტებში გათვალისწინებული არ აქვს ენერგოეფექტურობის პოლიტიკის გატარებასთან დაკავშირებული ხარჯები.

ჩატარებულმა გამოკითხვამ აჩვენა, რომ მოსახლეობის, ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლებისა და მალაზიების მენეჯერების დამოკიდებულება ენერგოეფექტური კანონმდებლობის მიმართ ამ ეტაპზე არის ზედაპირული, თავადაც აცნობიერებენ ინფორმაციის (ცოდნის) ნაკლებობას, სურვილი აქვთ უკეთ იცნობდნენ კანონმდებლობას, განსაკუთრებით კანონმდებლობის 25-ე მუხლის ქვეპუნქტების პრაქტიკული განხორციელების შემთხვევებს.

ამ საკითხის მოგვარებისთვის უდიდესი მნიშვნელობა აქვს ადვოკატირებას და მოსახლეობისა და ადგილობრივი საჯარო მოსამსახურეების ცნობიერების ამაღლებას სამოქალაქო საზოგადოებრივი ორგანიზაციების ჩართულობით, რაც აღნიშნულია კიდევ ასოცირების შეთანხმებასა და საქართველოს კანონში ენერგოეფექტურობის შესახებ.

მიუხედავად იმისა, რომ ენერგოეფექტურობასთან დაკავშირებული კანონმდებლობა ბოლომდე ამოქმედებული არ არის, საჭიროა ყურადღება მიქცეს მარტივ, ენერგოეფექტურობის გაზრდის ნაკლებხარჯიან ქმედებებს, განსაკუთრებით კერძო თუ საჯარო შენობებისთვის, რომლებიც მოკლე ხანში ანაზღაურდებიან და ფინანსურ ეკონომიასაც გვაძლევენ;

- საქართველოს კანონის ენერგოეფექტურობის შესახებ 25 -ე მუხლის და ასოცირების შეთანხმების 370-ე მუხლის მოთხოვნათა შესაბამისად, მუნიციპალიტეტები ვალდებული არიან უზრუნველყონ სამოქალაქო საზოგადოებრივ ორგანიზაციათა ფართო ჩართულობა ენერგოეფექტურობის კანონმდებლობის მოთხოვნათა შესრულებისთვის;

- მოსახლეობის და სავაჭრო ობიექტების თანამშრომლებისთვის ენერგოეფექტურობის საკითხებში

გათვითცნობიერებისთვის აუცილებელია ადგილობრივი საზოგადოებრივი ორგანიზაციების წარმომადგენელთა სწავლება-ტრენინგების ორგანიზება და ამ მიმართულებით სასურველია დონორ ორგანიზაციებთან მუშაობის გააქტიურება;

- დიდი მნიშვნელობა აქვს სკოლის მოსწავლეებთან მუშაობას. ამ მხრივ საჭიროა შესაბამისი პროფილის მასწავლებლების კვალიფიკაციის ამაღლება;

- მუნიციპალიტეტების შესაბამისი სამსახურების მიერ სახელმწიფო შესყიდვების სატენდერო პირობებში აუცილებლად ჩაიდოს ენერგოეფექტური საქონლის/მასალების მოთხოვნა;

- მუნიციპალიტეტების ბიუჯეტებში გათვალისწინებული უნდა იქნას ენერგოეფექტურობასთან დაკავშირებული საქმიანობის დაფინანსება.

- სასურველია, ფართოდ იქნას გამოყენებული ბექდური თუ ელექტრონული მედია საინფორმაციო საშუალებები მოსახლეობის ცნობიერების ამაღლებისთვის, ენერგოეფექტური საქონლის/მასალების უპირატესობისა და მათი გრძელვადიანი ეკონომიკური ეფექტიანობის შესახებ;

- ენერგოეფექტურობის დანერგვისა და კლიმატის ცვლილებასთან ადაპტაციისთვის მუნიციპალიტეტების ხელმძღვანელობა უნდა დაინტერესდეს „მერების შეთანხმების“ პროცესით, რომელზეც მიერთება გაზრდის მუნიციპალიტეტების პასუხისმგებლობას აღნიშნულ საკითხებზე და მათდამი ინტერესის გაზრდას დონორების მხრიდან;

გარდა აღნიშნული ზოგადი რეკომენდაციებისა მუნიციპალიტეტებში საზოგადოების წარმომადგენლებთან ჩატარებული სამუშაო შეხვედრების დროს მონაწილეთა მხრიდან გამოითქვა სპეციფიკური რეკომენდაციები.

ცაგერი:

- მერიის შენობაში გამოყოფილი იქნას სპეციალური კუთხე, სადაც განთავსებული იქნება საინფორმაციო მასალები ენერგოეფექტური ტექნოლოგიებისა და მასალების შესახებ;

- დამზადდეს საინფორმაციო/სარეკლამო ბანერები, რომ ცაგერი მიერთებულია „მერების შეთანხმებას“.

- ცაგერის მერიამ უზრუნველყოს საზოგადოების ჩართულობა „მერების შეთანხმებით“ გათვალისწინებული სამოქმედო გეგმის შემუშავებაში;

- მოეწყოს ექსკურსიები ახალგაზრდებისთვის ენერგოეფექტური და მზის ენერჯის მწარმოებელი ობიექტების სანახავად;

- ამოქმედდეს საცურაო აუზი ენერგოეფექტური ტექნოლოგიებისა და მასალების გამოყენებით;

- მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული „მწვანე თეატრი“ აღიჭურვოს ენერგოეფექტური ტექნოლოგიებით.

ლენტები:

- ეთხოვოს მერიის შესაბამის სამსახურს ინფორმაციის მოძიება და მოსახლეობაში გავრცელება ენერგოეფექტური ტექნოლოგიებისა და საქონლის შესახებ. განსაკუთრებული ყურადღება დაეთმოს ტექნოლოგიებსა და საქონელს, რომელთა გამოყენება სასურველია სახლის პირობებში, მაგ.: ენერგოეფექტური შეშის ღუმელი, მზის პანელები, სახლის დათბუნების საშუალებები;

- ეთხოვოს ლენტების მერიას მიუერთდეს ევროპულ პროცესს - „მერების შეთანხმებას“;

- გამოყენებულ იქნას ენერგოეფექტური მასალები და დანადგარები საბავშვო ბაღის მშენებლობისას.

დანართი: სამიზნე მუნიციპალიტეტებიდან მიღებული წერილები ენერგოეფექტურობასთან დაკავშირებული კანონმდებლობის აღსრულების თაობაზე

პასუხი ცაგერის მუნიციპალიტეტიდან:

ა(ა)იპ „მწვანე რეგიონები“-ს თავმჯდომარეს
ქალბატონ რუსუდან სიმონიძეს

ქალბატონო რუსუდან,

თქვენი წერილის შესაბამისად, გაცნობებთ, რომ ცაგერის მუნიციპალიტეტში გარკვეული ღონისძიებები განხორციელდა „ენერგოეფექტურობის შესახებ“ საქართველოს კანონის 25-ე მუხლის

ვალდებულებებიდან მუნიციპალიტეტის კომპეტენციას მიკუთვნებული საკითხების შესრულების მიზნით.

ფაქტობრივად მუშაობა ამ კუთხით გააქტიურდა თქვენი დაინტერესების შემდგომ. ძირითადი საკითხები შეეხება ენერგოეფექტურობის გაზრდის მიზნით - ცნობიერების ამაღლებას საინფორმაციო და საგანმანათლებლო ღონისძიებების დანერგვას და სხვა.

კერძოდ:

1. ყველა საჯარო დაწესებულებას, მათ შორის მუნიციპალიტეტის მიერ შექმნილ ორგანიზაციებს დაეგზავნათ მოთხოვნა, რათა წლის ბოლომდე განახორციელონ ღონისძიებები ძველი ენერგოტექნიკური საშუალებების ენერგოეფექტური საშუალებებით ჩანაცვლების შესახებ.

2. მიმდინარე წლის აპრილის მეორე ნახევარში დაგეგმილია ასეთი ორგანიზაციის ხელმძღვანელობისათვის და ადმინისტრაციული ერთეულის წარმომადგენლებისათვის ჩატარდეს

შესაბამისი განმარტებითი შეხვედრა შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე ექსპერტით. (მ.მუკვანი).

3. მუნიციპალიტეტის საჯარო დაწესებულებების ხელმძღვანელებმა უნდა უზრუნველყონ თანამშრომლებთან შესაბამისი საინფორმაციო და ახსნა- განმარტებითი სამუშაოების განხორციელება.

4. მუნიციპალიტეტის მერის დავალებით ყველა პროექტი, რომელიც შეეხება გარე განათების მოწყობას

უნდა დამუშავდეს ისე, რომ სანათები იყოს ენერგოეფექტური. სხვა შემთხვევაში პროექტი არ იქნება

მიღებული.

5. ჩვენ მიერ, კომპეტენციის ფარგლებში წახალისებული იქნება საგრანტო პროექტები, რომლებიც წარმოდგენილი იქნებიან „აწარმოე საქართველოში“ პროგრამაში კონკურსის გასავლელად, სადაც ხაზგასმით იქნება დამუშავებული ენერგოეფექტური ღონისძიებების განხორციელება.

რაც შეეხება „მერების შეთანხმების“ პროცესს, ამჟამად მიმდინარეობს მუშაობა, რომ მუნიციპალიტეტი მიუერთდეს აღნიშნულ შეთანხმებას მუნიციპალიტეტის საჯარო მოხელეები იმყოფებოდნენ შესაბამის ტრენინგზე და მადლობას გიხდით თქვენი მზაობისათვის ამ პროცესში დახმარების გაწევის თაობაზე.

პატივისცემით,

ზურაბი ხეცურიანი

საჯარო ინფორმაციის გაცემაზე პასუხისმგებელი პირი

პასუხი ლენტეხის მუნიციპალიტეტიდან:

ა(ა)იპ „მწვანე რეგიონები“-ს თავმჯდომარეს
ქალბატონ რუსუდან სიმონიძეს

ქალბატონო რუსუდან,

თქვენი მ/წლის 20 მარტის N 6 წერილის პასუხად გაცნობებთ, რომ ლენტეხის მუნიციპალიტეტი მონაწილეობდა თქვენს მიერ ორგანიზებულ ტრენინგებში, რის შემდგომ უფრო გაიზარდა ცნობადობა ენერგოეფექტურობის საკითხებზე. ენერგოეფექტურობის მოთხოვნების გათვალისწინება ხდება მუნიციპალიტეტის მასშტაბით მიმდინარე გარე განათებების მოწყობის პროექტებში. ასევე ენერგოეფექტურობის საკითხი იქნება გათვალისწინებული მთელ რიგ ინფრასტრუქტურულ პროექტებში.

ენერგოეფექტურობის გაზრდის მიზნით, ცნობიერების ასამაღლებლად მუნიციპალიტეტს დაგეგმილი აქვს საინფორმაციო და საგანმანათლებლო ღონისძიებების განხორციელება; ასევე მუნიციპალიტეტის მიერ წახალისებული იქნება საგრანტო პროექტები, სადაც ხაზგასმული იქნება ენერგოეფექტური ღონისძიებების განხორციელება.

რაც შეეხება „მერების შეთანხმების“ პროცესს, მიმდინარეობს მუშაობა, რომ მუნიციპალიტეტი მიუერთდეს აღნიშნულ შეთანხმებას და მონაწილეობა მიიღოს თქვენს მიერ წარმოდგენილ პროექტებში.

გია ონიანი
ლენტეხის მუნიციპალიტეტის მერია-მერი.